ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ქ. თბილისში თეატრალური აფიშების გასაკრავი საინფორმაციო ჯიხურების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსი

სარჩევი

1. *ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის.*_____*2*
2. *შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური დავალება*_____*3*
3. *ხელშეკრულების პროექტი.*_____*5*
4. *დანართი №1* _____*9*

ქ.თბილისი
2015

1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

1.1 შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების შესაბამისად.

1.2 კონკურსის შეწყვეტა:

ა) საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

ბ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.3 კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurment.gov.ge), გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური 50,00 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგენს საკონკურსო წინადადებას.

1.3.1 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

1.4 კონკურსანტის მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი და რეკვიზიტები დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ერთიანი პრეზენტაცია, რომელიც შედგება ვიზუალისა და განმარტებითი ბარათისაგან. კონკურსანტმა, კონცეფციის განმარტებით ბარათში უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, სადაც განხილულ იქნება არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი იდეა, პრინციპი, გამოყენებული მასალა, და ა.შ. (მათ შორის ინფორმაცია და ვიზუალი დოკუმენტაციის მე-2 თავში (***შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური დავალება)*** მოცემული პირობების შესაბამისად).

წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, დადასტურებულ ბეჭდითა და ხელმოწერით, და წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დახურულ კონვერტში (ელექტრონული ვერსია _ კომპაქტური დისკების - CD სახით, მყარი ასლების სახით).

1.5 საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ადგილი და წესი:

1.5.1 კონკურსანტმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოს 2015 წლის 4 მაისის 10:00 საათიდან 2015 წლის 5 მაისის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური, მე-15 სართული.

1.5.2 საკონკურსო წინადადების გახსნა მოხდება 2015 წლის 5 მაისს, 15:00 საათზე, პრეტენდენტების თანდასწრებით. (პრეტენდეტ(ის)თა გამოუცხადებლობა არ გამოიწვევს საკონკურსო წინადადებ(ის)ების დიკვალიფიკაციას.

1.6 საკონკურსო წინადადების ფასი:

1.6.1 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა **2000 (ორი ათასი) ლარი.** საკონკურსო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის ჩათვლით, ამასთან, კონკურსანტმა სატენდერო წინადადების ფასში ასევე უნდა გაითვალისწინოს ყველა იმ ხარვეზის/ნაკლის ან მოთხოვნილი ცვლილების ღირებულება, რაც შეიძლება შემსყიდველს წარმოეშვას პროექტირების ან მშენებლობის პროცესში. საკონკურსო წინადადების ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

1.7 საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10-ქულიანი სისტემით, შემდეგი წილობრივი ქულის გათვალისწინებით:

წარმოდგენილი კონცეფცია და ესკიზები - 6 ქულა;

წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად დამზადებული ჯიხურის სავარაუდო ღირებულება -4 ქულა.

1.8 კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. საკონკურსო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი მოსაზრება, რომელიც უნდა დაერთოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

1.9 კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევაში:

- თუ მის მიერ წარმოდგენილი საკონკუროს წინადადება არ შეესაბამება ამ დოკუმენტაციის მოთხოვნებს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს საკონკურსო წინადადების არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს).
- თუ ის არ დააზუსტებს საკონკურსო წინადადებას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;
- თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
- თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.
- თუ საკონკურსო წინადადება არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს ან/და წარმოდგენილია 1.3.1 პუნქტის დარღვევით.

1.10 დაგვიანებით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

1.11 კონკურსის ჩატარების თარიღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მოხდება კონკურსანტთა საკონკურსო წინადადებების შერჩევა/შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

1.12 გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

1.13 ანგარიშსწორება განხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის სახსრებით, ლარში.

1.14 ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

1.15 კონკურსთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია კონკურსის კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7, მე–15 სართული. საკონტაქტო პირი: სალომე კახიძე, ტელ: +99532 237 85 69

2. *შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური დავალება:*

შესყიდვის ობიექტია ქ. თბილისში თეატრალური აფიშების გასაკრავი საინფორმაციო ჯიხურების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

თეატრალური აფიშების გასაკრავი საინფორმაციო ჯიხურის მიახლოებითი ტექნიკური მახასიათებლები:

- ✓ **სიმაღლე - 2,50 სმ;**
- ✓ **დიამეტრი - 1,30 სმ;**
- ✓ **კონსტრუქციის მასალა - მეტალი;**
- ✓ **გარედან შესაფუთი მასალა- ორგ.მინა;**
- ✓ **კვარცხლბეკის მასალა - ქვა (ბაზალტი), მეტალი;**
- ✓ **შიდა განათება: led - განათება (მზის ელემენტზე)**
- ✓ **კონსტრუქცია უნდა იყოს გარემოს ზემოქმედებაზე გათვლილი.**
- ✓ **შიდა კონსტრუქცია უნდა იყოს მბრუნავი მექანიკური მექანიზმით.**
- ✓ **გარე კონსტრუქცია უნდა იყოს გამჭირვალე, ჰქონდეს გაღების და გაწმენდის საშუალება.**
- ✓ **ესკიზის შესაბამისად დამზადებული ჯიხურის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 6000 ლარს.**
- ✓ **ესკიზი უნდა იყოს შესრულებული 3D ვიზუალიზაციით (დღის და ღამის ფონზე);**
- ✓ **ფოტომონტაჟი (ძველი თბილისის უბნებში განთავსების ვიზუალიზაციით);**
- ✓ **აქსონომეტრიული ხედი - მინიმუმ 2 ცალი.**

შენიშვნა:

ა) მიმწოდებელმა დაპროექტების პროცესში შემსყიდველთან ეტაპობრივად უნდა აწარმოოს ყველა ასპექტის შეთანხმება პროექტის საბოლოო სახით მიღებამდე და შემდგომში მის მიერ შესრულებული პროექტის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელება.

ბ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

გ) კონკურსანტმა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშებისას უნდა გაითვალისწინოს ჯიხურის ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ხარჯი (ქ. თბილისის ფარგლებში).

მიახლოებითი ესკიზი:



სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება და დაიხვეწება ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "-----" ---------- 2015-- წ.
ერთის მხრივ ----------
----------(შემდგომში "შემსყიდველი")
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ ----------
----------(შემდგომში "მიმწოდებელი")
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)
შორის.
იმის გათვალისწინებით, რომ
შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი ---------- ----------

(მომსახურების მოკლე აღწერა)

შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება და - მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე:

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომ _ `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 `შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 `მიმწოდებელი~ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 `დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დოკუმენტაციის
2 პუნქტში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შემდგომში თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ---------- თანამშრომლები.

5.მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ---------- ვადაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ----------).

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორების გრაფიკი (მხარეთა შეთანხმებით) (მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს -----(----------) კალენდარული დღის ვადაში).

8. ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. გარანტია

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

11.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით,.

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
13.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
13.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 13 კალენდარულ დღეს.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2012 წლის ---------- მდე მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

21. სხვა პირობები

21.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

21.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
---	---

დანართი №1

პრეტენდენტის დასახელება ----------

საკონკურსო წინადადების ფასი ---------- ლარი

რეკვიზიტები:
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
ელექტრონული მისამართი:
ბანკის დასახელება და კოდი:
ანგარიშსწორების ანგარიში:
მობილური ტელეფონის ნომერი

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ბ.ა.